

ჰარვარდის უნივერსიტეტის ჯონ.ფ კენედის სახელობის სახელმწიფო მართვის
სკოლა და ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიურო

პროფესორი ჯეფრი ფრანკელი

რა შეუძლიათ ასწავლონ პატარა ქვეყნებმა მსოფლიოს
ფაკულტეტის კვლევითი სამუშაო ფურცლების სერია
მთარგმნელი თორნიკე რამაზაშვილი

აპრილი, 2012 წელი

რა შეუძლიათ ასწავლონ პატარა ქვეყნებმა მსოფლიოს
პროფესორი ჯეფრი ფრანკელი, ჰარვარდის უნივერსიტეტი, აპრილი, 2012 წელი
ბიზნესის ეკონომიკა (ბიზნესის ეკონომიკის ეროვნული ასოციაცია)

ინგლისურიდან თარგმნა თორნიკე რამაზაშვილმა

რეზიუმე

თითოეული მსხვილი ეკონომიკის მიერ თანმიმდევრულად შეთავაზებულმა მოდელმა, რომელიც ოდესღაც მიმზიდველი იყო დანარჩენებისთვის, საბოლოოდ გზა დაუთმო იმედგაცრუებას. შესაძლოა, რომ პატარა ქვეყნებს ჰქონდეთ პასუხები. ხშირად მათ უკეთესად შეუძლიათ გამოსცადონ ინოვაციური პოლიტიკა და ინსტიტუციები, ხოლო მათი ზოგიერთი შედეგი მისაბამია.

ეს სტატია გვამღევეს მრავალ მაგალითს. ზოგიერთი მათგანი პატარა მოწინავე ქვეყნებიდან გამომდინარეობს, მაგალითად: ახალი ზელანდიის ინფლაციის მიზნობრივი მიმართულება, ესტონეთის პროპორციული გადასახადები, შვეიცარიის ვალის მუხრუჭი¹, ირლანდიის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, კანადის საბანკო სტრუქტურა, შვედეთის სკანდინავიური მოდელი და ნიდერლანდების შრომის ბაზრის რეფორმები. ზოგიერთიც კი გამომდინარეობს იმ ქვეყნებიდან, რომლებიც 40 წლის წინ განიხილებოდნენ როგორც „განვითარებადნი“, ოღონდ ინდუსტრიალიზაციის განვითარების შემდგომ. კორეა მხარს უჭერს განათლებას, სინგაპურის ინოვაციური პოლიტიკა კი იძულებული გახდა, რომ დაეზოგა სატრანსპორტო ფასების დინამიური სტრატეგია, კოსტა-რიკამ და მავრიკამ სხვა პოლიტიკებს შორის შესაფერისად და უკეთესად წარმოადგინეს საკუთარი რეგიონები, ფიცით თქვეს უარი მუდმივ ჯარზე, მექსიკამ წარმატებულად გამოსცადა ორიგინალი პირობითი ფულადი გზავნილები. ბოლო მაგალითი კი შეეხება იმ ქვეყანას, რომელიც ახდენს მინერალური და სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტს, ისტორიულად დაუცველია “რესურსების წყევლის”² მიმართ, მაგრამ ამგვარად აქვს ნასწავლი, თუ როგორ აიცილოს თავიდან მოულოდნელი საფრთხეები. ასევე ჩილეს სტრუქტურული ბიუჯეტის წესები, მექსიკის ნავთობის არჩევნის რისკის შემცირება, თავის დაზღვევა დანაკარგებისაგან და ბოტსვანას “პულას ფონდი.”

რატომ უნდა მიმართოს ვინმემ პატარა ქვეყნებს პოლიტიკური იდეებისთვის ან კარგი ინსტიტუციებისთვის? ისტორია გვიჩვენებს, რომ დიდ ქვეყნებს არ გააჩნიათ პასუხი. წარსულში პატარა ქვეყნების გადაწყვეტილება სოციალურ სისტემებში, განვითარებულ სტრატეგიებში ან კონკრეტულ ინსტიტუციებში დამოკიდებული იყო დიდ ქვეყნებზე. მაგალითისთვის, მე-19 საუკუნეში დიდი ბრიტანეთი და მისი ინდუსტრიული რევოლუცია იყო მოდელი, რომლისთვისაც ცდილობდნენ მიეზამათ. ზოგიერთი მისი ინოვაცია, როგორც არის სააქციო საზოგადოება და უფასო ვაჭრობა, დღეს ისევ აქტუალურია. ამასთან, სხვა მისი ინსტიტუციები, როგორც იყო ოქროს სტანდარტი, ვერც კი იარსება საუკუნის ბოლომდე.

დიდი ქვეყნები, როგორც მოდელები მე-20 საუკუნეში

ზოგიერთი ერისთვის, რომლებმაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა მე-20 საუკუნეში საბჭოთა კავშირი იყო ამის მისაბამი ქვეყანა. საუკუნის დასასრულს, რა თქმა უნდა, სოციალისტურმა მოდელმა დაკარგა საკუთარი ხიბლი. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ რუსეთი და საბჭოთა ბლოკის სხვა წევრები საშინლად დამარცხდნენ, იმ დროს, როდესაც კაპიტალიზმს აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკები მიჰყავდა აყვავების გზაზე.

მიუხედავად იმისა, რომ 1990 წლისთვის საბაზრო ეკონომიკა სოციალიზმის წინააღმდეგ მკვიდრდებოდა, კაპიტალიზმის კონკურენტუნარიანი მოდელები მაინც იყო შენარჩუნებული. ამ დროს კი ბევრი ფიქრობდა 1980 წლების მაგალითზე, როდესაც იაპონიის კაპიტალიზმის ვარიანტი იყო საუკეთესო მოდელი, ხოლო მსოფლიოს სხვა ქვეყნები მას უცილებლად უნდა გაჰყოლოდნენ. აღნიშნული მოდელი მოიცავდა ისეთ ინსტიტუციებს, როგორებიც იყო: სავაჭრო პოლიტიკა, ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა, ურთიერთობა ბანკთან, სიცოცხლის ხანგრძლივობა, კოლიზიური სამრეწველო დაჯგუფებები და კორპორატიული მმართველობა, რომლებიც ემებდნენ კაპიტალის მაქსიმიზაციას და გრძელვადიანი ბაზრის გაზიარებას, ვიდრე მოკლევადიანით სარგებლობას.

როგორც ჩანს, ნამდვილად არსებობს ისეთ რამ, როგორცაა ძალიან ბევრი კაპიტალის დაგროვება. 1990-იან წლებში იაპონურმა მოდელმა სწრაფად დაკარგა საკუთარი ბრწყინვალეობა, როგორც გვიანი 1980-იანის სპეკულაციური ბუმტები³, ხოლო ეკონომიკა ორი ათწლეულის განმავლობაში ჩააგდო სტაგნაციაში.

ასეთი მრავალი გაკვეთილის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალიზმის ვარიანტი იყო ყველა დროის საუკეთესო მოდელი. ეს მოიცავდა კორპორატიულ მმართველობას ამერიკულ სტილში: ფასიანი ქაღალდები, სარეიტინგო სააგენტოები, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, უხვი კომპენსაცია აღმასრულებელი დირექტორებისთვის, სწრაფვა მოგებისკენ და აქციების ფასების პრიორიტეტი მის ზომასთან შედარებით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1990-იანი წლებისთვის დაიწყო სამხედრო მილიტარიზაცია ქუვეითში და დაასრულა ის საკუთარ ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ეკონომიკური გაფართოებით. სხვა ქვეყნები აუცილებლად უნდა გაჰყოლოდნენ ამერიკის მოდელს.

ამერიკულმა მოდელმა, თავის მხრივ, დაკარგა საკუთარი ხიბლი 2000-იანი წლების ათწლეულში. ამერიკის შეერთებული შტატების რეპუტაციამ კომპეტენციისთვის, მთლიანობაში მაინც მიიღო რამდენიმე ძლიერი დარტყმა, დაწყებული 2001 წლის

ბუღალტრული სკანდალებიდან, გაგრძელებული ლურჯ-საყელოთა მუშების შემოსავლის ვარდნიდან, ამერიკის იპოთეკური კრიზისითა და მისი შემდგომი რეცესიით, ბიუჯეტის მასიური დეფიციტით და დამთავრებული კატასტროფებით მექსიკის ყურეში.

დღეს ქვეყნებმა სად უნდა მოძებნონ მოდელი? ზოგიერთი უპასუხებს „ჩინეთში.“ უდაოა, რომ ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ჩინეთის მიერ შენარჩუნებული ზრდის ტემპი ნამდვილად ისტორიის სასწაულია. მაგრამ მიჭირს ვიფიქრო ჩინეთის ბევრ ისეთ ინსტიტუციებზე, რომლებზეც გავუწევდი რეკომენდაციებს სხვა ქვეყნებს, რათა ზუსტად იგივე გადაეღოთ.

თუნდაც დღეს, ჩინეთის სტატუსი, როგორც მსოფლიო ეკონომიკის მეორე ადგილზე მყოფი, ის მეტწილად მიღწეულია მოსახლეობის სიდიდის ხარჯზე, ვიდრე მისი მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც გლობალურ რეიტინგში ჯერ კიდევ გასაზრდელია. ჩვენ მივეჩვიეთ, რომ ვეძიოთ ინოვაციები დიდ ქვეყნებში, რომლებიც ქვეყნის საზღვრებს ცდებიან. მაგრამ ზოგიერთი პატარა თუ პერიფერიის ქვეყანა, რომელმაც გამოსცადა საკუთარი პოლიტიკები და ინსტიტუციები, შესაძლოა სხვებისთვისაც სასარგებლო აღმოჩნდეს.

როგორც წესი, პატარა ქვეყნების განვითარება დამოკიდებულია ვაჭრობაზე და ახალი იდეების ღიაობაზე. პატარა ქვეყნები, ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობით დისტანციური ან დამანგრეველი ომის შედეგად, ხშირად პოლიტიკურად უფრო ადვილად ატარებდნენ რადიკალურ რეფორმებს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები თუ სხვა დიდი ქვეყნები. ყველა ექსპერიმენტი წარმატებას ვერ მიაღწევს, მაგრამ არიან გამონაკლისებიც. იმ ინოვაციებმა, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს, შესაძლოა სხვებისთვის მისაბამი გახდეს. დავიწყეთ იმ ქვეყნების მაგალითებით, რომლებიც არიან მცირე ზომის, მაგრამ გააჩნიათ მაღალი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე.

პატარა მოწინავე ქვეყნების ეკონომიკის იდეები

1984 წლიდან ფინანსთა მინისტრის როჯერ დუგლასის შემდეგ ახალმა ზელანდიამ მიიღო ლიბერალიზმის რეფორმათა ყოვლისმომცველი ნაკრები, ცნობილი როგორც "Rogernomics". შესაძლოა, რომ ლეიბორისტულ პარტიას მიენიჭოს ნდობა ნოვატორული პრინციპისთვის, სადაც ზოგჯერ მემარცხენე-ცენტრისტულ მთავრობებსაც შუძლიათ უკეთ მიაღწიონ ეკონომიკის ლიბერალიზაციას, ვიდრე მემარჯვენე-ცენტრისტულმა ოპონენტებმა. 1990 წელს ახალი ზელანდიის მონეტარულმა ძალაუფლებამ გზა გაიკვლია ინფლაციის მიზნობრივი

მიმართულებისკენ, თავდაპირველად, როგორც ნაწილი დიდი სტრატეგიისა ცალკეული საჯარო მოსამსახურეების, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ წლიური მიზნების მიმართ. 1991 წელს კანადა და შემდეგ მრავალი სხვა ცენტრალური ბანკი მიჰყვა ახალი ზელანდიის ორი ათწლეულის განმავლობაში ინფლაციის მიზნობრივ გეზს.

ესტონეთი გახდა ლიდერი, რომელმაც 1994 წელს გაამარტივა საკუთარი გადასახადების სისტემა წარმატებული პროპორციული გადასახადების საშუალებით. შემდეგ მას მიჰყვნენ პატარა ქვეყნები ცენტრალური/აღმოსავლური ევროპიდან და სხვები. 2001 წელს შვეიცარიამ საკუთარ კონსტიტუციაში ჩაამატა „ვალის მუხრუჭი“, ეს არ იყო ის წესი, რომელიც დაბალანსებდა ბიუჯეტს, როგორც არაპრაქტიკული სტაბილურობის და ევროს ქვეყნების ზრდის პაქტს, არამედ წესი, რომელიც იქნებოდა სტრუქტურულად მორგებული ბიუჯეტის დაბალანსებაზე. გერმანიამ მიბაძა შვეიცარიას ჩაემატებინა საკუთარ კონსტიტუციაში ვალის მუხრუჭი და სასურველი იქნებოდა, თუ ევროზონის დანარჩენი 16 წევრი მიჰყვებოდნენ მათ გზას.

ირლანდიამ აღიარა პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მნიშვნელობა და წახალისა დაბალი კორპორატიული გადასახადის დაწესება. სტრატეგია, რომლის მიხედვითაც კელტური ვეფხვი გახდა წარმატებული, განპირობებული იყო 1995 წლიდან 2007 წლამდე მისი 7 პროცენტზე მეტი ეკონომიკური ზრდით წელიწადში. თუმცა ამ პერიოდის ბოლოს ეკონომიკა გახდა არამდგრადი.

კანადამ აჩვენა, თუ როგორ მართოს საბანკო სისტემა კრიზისის გარეშე, ეს არ ხდება ბანკების დაშლით, რომლებიც არიან „ძალიან დიდები იმისთვის, რომ პატარა ერთეულებად დაიშალონ.“ კანადის სისტემა კონცენტრირებულია იმ ხუთ დიდ ბანკში, რომელსაც უჭირავს აქტივების 80%, მაგრამ ამისთვის ხელისუფლებას პასუხისმგებლობისგან არასდროს აურიდება თავი. ოტავაში სახელმწიფო პოლიტიკა არ სთავაზობს კლიენტს დამატებით რესტრუქტურირაციას ან ქონებით უზრუნველყოფას, რომელიც არ არის გადამხდელუნარიანი, ვინაიდან ამით შეიძლება გამოიწვიოს ჭარბვალიანობა და/ან ქონება დადგეს დაკარგვის საფრთხის ქვეშ.

იპოთეკური პროცენტი არ იბეგრება გადასახადით, თუ 20%-იანი გადახდა არის სტანდარტული (თუ მსესხებელი არ იღებს დაზღვევას) და იპოთეკა არის „მთლიანი რესურსის“ სესხები (ვადის გადაცილება არ აძლევს ნებას მსესხებელს უარი თქვას ვალდებულებაზე). შედეგი არის ის, რომ კანადა აღწევს ზუსტად იმავე დონის მაჩვენებელს სახლის საკუთრებაზე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები. მაგრამ ნაკლები ბერკეტით, უფრო ნაკლები ვალდებულებებით და არანაირი სისტემური კრიზისებით.

1992 წელს შვედეთმა აჩვენა, თუ როგორ იმოქმედოს აგრესიულად, რათა გადაარჩინოს საბანკო სისტემა კრიზისის დროს, სანამ არ გადადგამს ნაბიჯებს ისე, რომ გადამხდელმა საბოლოოდ მთლიანი თანხა ან მისი უმეტესი ნაწილი მიიღოს უკან. ეს მაგალითი იყო ინსპირაცია პრეზიდენტ ობამასთვის, 2009 წლის დასაწყისში შეეცვალა პრობლემური აქტივების დახმარების პროგრამა.

უფრო ფართოდ, სკანდინავიური ქვეყნებს, რომლებმაც 1970-იან წლებში გადაწყვიტეს შორს წასულიყვნენ მაღალი ხარჯვის სოციალისტური მიმართულებისკენ, გარკვეული ცვლილებები შეეტანეს 1990-იან წლებში. „სკანდინავიური მოდელი“⁴ ახლა აჩვენებს, რომ შესაძლებელია გაერთიანდეს სოციალური დაცვის მაღალი დონე, სოციალური სერვისები და კორპორატიული შრომითი ურთიერთობები, საბაზრო ეკონომიკა, ფისკალური პასუხისმგებლობა და თავისუფალი ვაჭრობა (სოფლის მეურნეობის გარდა). ანდერს ასლუნდის მიხედვით, 1980-იან წლებში დანია იყო ის, რომლის მაგალითსაც შეიძლება ვუწოდოთ სკანდინავიური მოდელი, შემდეგ კი გაგრძელდა 1990-იან წლებში შვედეთში პრემიერ მინისტრის კარლ ბილდტის დროს. ქალების მაღალი ჩართულობა შრომით ძალაში არის ერთი ინგრედიენტი ფორმულაში. ხოლო მეორე, შეიძლება იყოს შვედეთის სასკოლო ვაუჩერების ყოვლისმომცველი სისტემა.

ნორვეგია განვითარების გლობალურ ინდექსში არის ყველაზე მაღალ რეიტინგში. ვილაც იტყვის „ეს ადვილია, ნორვეგიას აქვს ნავთობი“. მაგრამ ბევრი ქვეყანა ნავთობით თუ სხვა ბუნებრივი რესურსებით ფლანგავს შემოსავლებს. (ვრცლად ამის ქვემოთ). ნორვეგიამ დაადგინა კანონი, უზრუნველყოს საკუთარი ნავთობის შემოსავალი ისე, რომ შენახული იყოს სუვერენული სიმდიდრის ფონდში.

თანამედროვე სკანდინავიელები არიან გამორჩეულები საკუთარი გათვინობიერებულობით, რომ მათ უნდა ჰქონდეთ საკმარისი საგადასახადო შემოსავლები იმასთან შესაბამისობაში, რაც უნდა დახარჯონ საკუთარმა მთავრობებმა. და მაინც, 2010 წელს შვედეთის კონსერვატიულმა პრემიერ-მინისტრმა შეძლო შეემცირებინა გადასახადები დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობისთვის, მიზეზი იყო ის, რომ მათ მოტივები უარყოფითად აისახებოდა მთლიანი მარგინალური გადასახადის განაკვეთებზე (მაშინ როდესაც ამერიკის მიმწოდებელი მხარეები თვლიდნენ, რომ ეს ლოგიკა ეხებოდა მხოლოდ მდიდრებს). გავრცელებული ინფორმაციით პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონს სურდა ამ იდეის იმპორტირება დიდ ბრიტანეთში.

1990-იან წლებში ნიდერლანდებმა გადაწყვიტა, რომ საკუთარი დაბეგვრის მაღალი დონე, შრომის ბაზრის რეგულაცია და სოციალური დაცვა დასაქმებას ხელოვნურად დაბლა წევდა. მათ გამოსცადეს რეფორმატორული ექსპერიმენტები, რათა შრომის ბაზარი ყოფილიყო უფრო მოქნილი, ხოლო ნახევარ განაკვეთზე მუშაობა ყოფილიყო უფრო ადვილი. შედეგი იყო ის, რომ ნიდერლანდები გახდა საუკეთესო სამუშაოს შემქმნელი ევროპაში. არსებითად, მომუშავეები აშკარად ირჩევენ ნახევარ განაკვეთს ნებაყოფლობით, რადგან ერგება მათი ცხოვრების სტილს, ვიდრე ხელოვნურად დაწესებული სამუშაო შეხვედრების სქემა. „ჰოლანდიური მოდელი“⁵ გახდა შთაგონება გერმანიის შრომის ბაზრის წარმატებული რეფორმებისთვის მომდევნო ათწლეულში.

იდეები ახლად ინდუსტრიალიზებული ეკონომიკებიდან

განსაკუთრებით დამაინტრიგებელია ინოვაციები, რომლებიც გამომდინარეობენ როგორც, განვითარებადი ქვეყნებიდან, ასევე იმ ადგილებიდან, სადაც დაიწყო „განვითარების“ პროცესი. ზოგიერთი მათგანი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ისინი აღარ არან კლასიფიცირებულები, როგორც განვითარებადნი.

სინგაპურმა დიდი ხნის წინ მიაღწია მდიდარი ქვეყნის სტატუსს და 2011 წლისთვის დაიკავა მე-4 ადგილი მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით, ამერიკის შეერთებული შტატების წინ. ეს მოულოდნელი სასწაული შეასრულა უნიკალური განვითარების სტრატეგიით. მათ შორის ინოვაციებით, რომლებიც იყო პატერნალისტური მიდგომა, შეენახა და გამოეყენებინა ფასების მექანიზმი, რათა დაემარცხებინა ქალაქის საავტომობილო საცობი. მოგვიანებით კი ლონდონმა მიბაძა.

1957 წელს კორეა იყო შემოსავლის ზუსტად იმ დონეზე, რომელზეც იყო განა, ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობით. განვითარების ეკონომისტებს ეგონათ, რომ ამ უკანასკნელს ექნებოდა გაცილებით უკეთესი პერსპექტივები. დღეს კორეა შემოსავლების მაჩვენებლით 25-ე ადგილზეა მსოფლიოში, ზუსტად ევროკავშირის საშალო მაჩვენებლის წინ! კორეის ინდუსტრიალიზაციის სასწაული შეიძლება აიხსნას განათლების პრიორიტეტით. ეს ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზეა 15 წლამდე ასაკის პირთა ქულებით კითხვაში, შემდეგ კი მათემატიკაში, ფინეთის შემდეგ.

რამდენიმე ხნის წინ ორივე ქვეყანამ, კოსტა რიკამ ცენტრალური ამერიკიდან და მავრიკა აფრიკიდან, წინ წაიწია და შესაბამისად გახდნენ თანაბარნი. ბევრ გადაწყვეტილებას შორის, რომელიც წარმატებით შეიმუშავეს - ორივემ უარი თქვა მუდმივ ჯარზე. ამ ორი ქვეყნის მაგალითზე შედეგი არის ის, რომ მათ აქვთ ისტორია

გადატრიალებების გარეშე. ისტორია ფინანსური დაზოგვის, რომელიც ხმარდება განათლებას, ინვესტიციებს, და სხვა პროდუქტიულ მიზნებს.

90-იან წლებში მექსიკამ, პრეზიდენტ ერნესტო ზედილიოს ხელმძღვანელობითა და წყალობით, მიიღო არაპარტიული ფედერალური საარჩევნო ინსტიტუციები, რომლის შემდეგაც 2000 წელს დაუშვა ოპოზიციური პარტია, რათა პირველად აეღო ხელში ძალაუფლება, ხოლო 2006 წელს შეძლო წარმატებულად გადაეწყვიტა სადავო არჩევნები.

1998 წელს მექსიკამ ასევე გზა გაიკვლია იმისკენ, რომ პირობითი ფულადი გზავნილების პროგრამის ამოქმედება იყო ორიგინალური რამ, სახელწოდებით PROGRESA, რომლის შემდეგაც შეიცვალა OPORTUNIDADES-სკენ. აღნიშნულ პროგრამას შემდგომ მიზანს ბრაზილიის “Bolsa Familia” და სხვა განვითარებადმა ქვეყნებმა. მათ რეფორმებიც კი შექმნეს ნიუ-იორკში. მექსიკის ინოვაციები იყო ორი რევოლუცია ერთში: (1) განსაკუთრებული იდეა, რომელიც უზრუნველყოფდა ღარიბი კონტიგენტის გადაყვანას ბავშვთა სკოლის შეხვედრებზე, (2) მეთოდოლოგიური იდეა, რომელიც ჩაატარებდა მართვად ექსპერიმენტებს, რათა ეპოვნა თუ რა პოლიტიკა მუშაობს განვითარებად ქვეყნებში, რომელიც შეიყვანდა რანდომიზირებულ საკონტროლო ცდების მოძრაობას.

იდეები სასაქონლო-საექსპორტო ქვეყნებიდან

ქვეყნები, რომელთაც ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე აქვთ, არ გამოირჩევიან მათგან, ვისაც ეს სიმდიდრე არ გააჩნია. ამგვარი ფენომენი ცნობილია, როგორც ბუნებრივი რესურსების წყევლა. წყევლის ერთი ასპექტი ისტორიულად იყო ტენდენცია ნავთობის ექსპორტიორებისგან, ენერგეტიკისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ზედმეტი ხარჯვა, ვიდრე დაზოგვა. ეს ტენდენცია არის ნაწილი ზოგადი ისტორიული პრო-ციკლური მოდელის ან დესტაბილიზაციის ფისკალური პოლიტიკის განვითარებად ქვეყნებს შორის. აღსანიშნავია, რომ 2000 წლიდან დაახლოებით ერთმა მესამედმა მოახერხა ამის გადალახვა, ნაცვლად კი გაატარეს კონტრაციკლური ხარჯვის პოლიტიკა. ამ ცვლილების უბადლო შემსრულებელია ჩილე. ისტორიას აქვს გაკვეთილები, მაგრამ არა მხოლოდ საქონლის ექსპორტიორებისთვის, არამედ ყველა ქვეყნისთვის.

ინოვაციების მრავალფეროვნება დაეხმარა ჩილეს გაკეთებებინა უკეთესი საკუთარი ამერიკელი მეზობლებისთვის. ჩილეს ფისკალური ინსტიტუციები - სტრუქტურული ბიუჯეტის ბალანსი პარამეტრებთან ერთად შეფასებულია ექსპერტთა დამოუკიდებელი პანელებისგან - უზრუნველყოფს კონტრაციკლურ ბიუჯეტს.

ისინი წარმოადგენენ იმ მექანიზმებს, რომელიც მისაბამია საქონლის ექსპორტიორი ქვეყნებისთვის, რათა დაამარცხონ ბუნებრივი რესურსების წყევლა. 2003-08 წლებში ჩილეს ჰქონდა სწრაფი ცვლილებების ტემპი, 2009 წელს კი შესძლო შეემცირებინა საკუთარი ფისკალური პოლიტიკა რეცესიის პერიოდში. ეს მიღწევა არ იყო მხოლოდ და მხოლოდ ბრძენი პოლიტიკოსების მიერ არჩეული სწორი პოლიტიკის დამსახურება. მათ ხელი შეუწეეს იმ ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელიც ამოქმედდა 2000 წელს და შესთავაზა სხვა ქვეყნებს, რომელიც სასარგებლო იქნებოდა მათთვისაც.

ჩილეს ფისკალური პოლიტიკა არსებითად შედგება სამი წესისგან. პირველ რიგში, თითოეულმა მთავრობამ უნდა განსაზღვროს ბიუჯეტის სამიზნე. შემდეგ, როგორც შვეიცარიაში, სამიზნე ჩამოყალიბებულია სტრუქტურულ ტერმინებში: დეფიციტი დასაშვებია მხოლოდ იმ მოცულობით (i), როდესაც პროდუქცია მოკლებულია ტენდენციებს რეცესიის დროს, ან (ii) სპილენძის ფასი დაბალია მის ტრენდთან შედარებით. 2008 წელს პრეზიდენტ მიშელ ბაჩელეტის დროს სტრუქტურული ბიუჯეტის ნიშანი იყო ნულამდე დასული, რაც გულისხმობდა რეალურ ნამატს, ვინაიდან ნავთობის ფასი იყო უფრო მაღალი და ეკონომიკა ყვაოდა. (iii) განსაზღვრება იმისა, თუ რა არის სტრუქტურული და რა არის ციკლური შექმნილია დამოუკიდებელი ექსპერტების ორი პანელისგან, რომლებიც დაკავებულები არიან 10 წლიანი მიმართულებებით, პოლიტიკური პროცესების გარეთ. შედეგია, რომ ჩილე თავს არიდებს იმ 32 სახელმწიფოს ნიმუშს, სადაც ეკონომიკური პროგნოზის ბუმი არის მიკერძოებული ზედმეტი ოპტიმიზმისკენ. ჩილეს ინსტიტუციები ხსნიან, თუ როგორ შეძლო ასეთი ტემპის მოკრება 2003-07 წლებში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპამ ვერ შეძლეს გაეკეთებინათ იგივე საკუთარი ხელისუფლების ფისკალური ინსტიტუციების სისტემატურად გადაჭარბებული ოპტიმიზმით გაფართოების პერიოდში.

როგორც ჩანს მექანიკა ისევ ინოვაციების სიაშია საექსპორტო შემოსავლის ოფციონალურ ბაზრებზე ნავთობის ხეჯირების⁶ წყალობით. მწარმოებლები, რომლებიც საკუთარ მინერალებს ყიდნიან საერთაშორისო ბაზარზე, არიან დოლარის გაზრდისა და დაცემის რისკის ქვეშ. მწარმოებელს შეუძლია რისკის ხეჯირება, გაყიდოს ეს რაოდენობა ფორვარდულ ან ფიუჩერსულ ბაზარზე. ხეჯირება უზრუნველყოფს რისკების ეფექტურ გაზიარებას და მსოფლიო ფასების ავტომატურ კორექტირებას.

ბიუროკრატიული ან პოლიტიკური გადმოსახედიდან ფიუჩერსულ ბაზარს აქვს ერთი სერიოზული ნაკლი. თუ მმართველი ხეჯირებს ფიუჩერსულ ბაზარს, მინისტრი არ იღებს კრედიტს, რათა გადაარჩინოს საკუთარი ქვეყანა კატასტროფისგან, როდესაც

მსოფლიო ფასი ეცემა. მაშასადამე, უკეთესია მექსიკის მიერ გამოყენებული სტრატეგიის ხეჯირება: ის იყენებს ვარიანტებს, რათა აღმოფხვრას ნავთობის ფასის დაცემის რისკი. ამ გზით ინარჩუნებს აღმავლობას, ხოლო ამცირებს დაშვების რისკს.

საქონლის შემოსავლის ექსპორტი გამოყენებული უნდა იყოს სუვერენული სიმდიდრის ფონდის ჩამოყალიბებისთვის, რომელიც იქნება გამჭირვალე და პროფესიონალურად მართული, რათა მომავალმა თაობებმა გაიზიარონ “სიკეთე”⁷, სანამ აქტივების ინვესტიცია, რომელიც გამოიმუშავებს დაბრუნების უფრო მაღალ მაჩვენებელს, ვიდრე უმნიშვნელო შენატანას უკან ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინაში, შეინახება უმეტესობა რეზერვების ცენტრალური ბანკში. მოდელი, რომელსაც ფართოდ უკეთებდნენ რეკლამირებას, არის ნორვეგიის საპენსიო ფონდი (ადრე ერქვა ნორვეგიის სახელმწიფო ნავთობის ფონდი). მაგრამ სინამდვილეში ეს არ შეიძლება იყოს საუკეთესო მოდელი, რომელსაც შეიძლება მიზანმიმართულად საქონლის ექსპორტიორებმა. ზოგიერთს სურს, რომ სუვერენული სიმდიდრის ფონდი განთავსდეს პოლიტიკური გავლენის მიღმა და ინვესტიცია ჩაიდოს მხოლოდ და მხოლოდ ფინანსური ხაზების გასწვრივ. ეს არ არის პრაქტიკა ნორვეგიის ფონდთან, რომლის მეშვეობითაც პოლიტიკოსებს შეუძლიათ მისცენ შეზღუდვები სოციალური მიზნების საფუძველზე.

საქონლის ექსპორტიორი ქვეყნებისთვის საუკეთესო მოდელს წარმოადგენს ბოტსვანას “პულას ფონდი”, რომელიც აშენდა ბრილიანტის გაყიდვიდან გამომდინარეებული თანხისგან. ფონდი სრულიად ინვესტირებულია ფასიანი ქაღალდებით დენომინირებულ სხვა ვალუტაში, ემსახურება, როგორც ბრილიანტების გამოლევასა და ფონდის ჩამირვას, ასევე წარმოადგენს ბუფერს, რომელიც მოაწესრიგებს ეკონომიკური რყევებს. პულას ფონდის მენეჯმენტი არის დამოუკიდებელი პროფესიონალების დელეგაცია, რომლებმაც გააჩნიათ ინსტრუქცია, შეასრულონ ბოტსვანას მოსახლეობის მხოლოდ ფინანსური ინტერესები პოლიტიკური მიზნების დამახინჯების გარეშე.

ვერცხლის ტყეები?⁸

ინგლისურ ენაში სრულიად გამართლებულად არ გამოიყენება ტერმინი “ვერცხლის ტყეა”, გარდა იმ გამონაკლისისა, როდესაც წინ უძღვის „არ არსებობს. იგივე ითქმის „პანაცეაზე“. ზოგიერთი განსაკუთრებული ინსტიტუციაა ხაზგასასმელი, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული სხვაგანაც. მე არ ვგულისხმობ იმას, რომ ისინი მარტივად გადაითარგმნებიან ერთი ნაციონალური კონტექსტიდან მეორეში. მრავალ ქვეყანას არ შეუძლია გაართვას თავი ჯერ კიდევ დიდ სკანდინავიური ქვეყნების სახელმწიფო სექტორს, მაგალითად კორუფციისა და არასათანადო მართვის გამო.

მიწის გადანაწილება კარგად მუშაობდა იაპონიაში, კორეასა და ტაივანში, მას შემდეგ როდესაც 1945 წელს მოხდა იაპონიის კოლონიური იმპერიის კოლაფსი, მაგრამ სხვა დანარჩენ კონტექსტებში, ასეთ საკუთრების უფლებაში ჩარევა მიყენებდა ხანგრძლივ ზიანს. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სისტემას წარმატებით შეუძლია გამოსცადოს გადასახადების ის სახეობები, რომლებიც აქამდე მუშაობდა აღმოსავლეთ ევროპაში. როდესაც ამერიკელი პოლიტიკოსი სთავაზობს პროპორციულ გადასახადებს, რომელსაც უცვლელად თან ახლავს გველის ზეთის პირობები, წარმოუდგენლად დაბალ ტარიფებთან დაკავშირებით. როდესაც ის გვთავაზობს გავხსნათ საგადასახადო კოდექსი, გამარტივების მაგივრად ის უფრო რთულდება.

ასევე მე არ ვთავაზობ ჩემ მიერ ინდენტიფიცირებულ მაგალითებს კარგი ინსტიტუციებისა, რომელიც მთლიანად პასუხისმგებელია იმ ეკონომიკების წარმატებაზე, სადაც განხორციელდა. ისეთი ქვეყნები როგორც არის ჩილე, ახალი ზელანდია და სინგაპური, წამოიწყეს ისეთი ბევრი რეფორმები, რომლებიც აქ არაა ნახსენები. რამდენიმე კარგი პოლიტიკა აუცილებლად განსაზღვრავს მოსალოდნელ შედეგებს. მექსიკის მაგალითი აჩვენებს, რომ ქვეყანას შესაძლოა ჰქონდეს არაერთი ბრწყინვალე ინოვაცია, მაგრამ კვლავ განიცდიდეს უძრაობას სხვა მიზეზების გამო. (მოიშალა კოლუმბიიდან ნარკოტიკების გადაადგილების გამო და იარაღების დატბორვის შედეგად აშშ-დან). 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის დროს კი ირლანდია და ესტონეთი იყვნენ დაზარალებულები. (ნაწილობრივ იმიტომ, რომ უარი თქვეს მონეტარულ დამოუკიდებლობაზე).

მაგრამ არაა აუცილებელი ქვეყანა იყოს ისეთი დიდი, როგორც არის ამერიკის შეერთებული შტატები, რათა იმსახუროს როგორც მოდელმა. პატარა ქვეყნები ხშირად უფრო მეტად არიან არიან თავისუფალნი გამოსცადონ ახალი პოლიტიკები თუ ახალი ინსტიტუციები. შედეგი კი მოიცავს სხვებისთვის სასარგებლო მაგალითებს.

ტერმინები

1. ვალის მუხრუჭი - სახელმწიფო ვალის მოცულობის ზრდის შემაკავებელი მექანიზმი.
2. რესურსების წყველა - პარადოქსული ვითარების აღსაწერად შექმნილი ტერმინი, რომლის მიხედვითაც ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ღარიბი ქვეყნები არ ვითარდებიან ეკონომიკურად.
3. სპეკულაციური ბუშტები - ეკონომიკური ფენომენი, რომლის დროსაც ხალხის მაღალი გადახდისთვის მზადყოფნა ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურებისთვის მოწყვეტილია აქტივის რეალურ ღირებულად.
4. სკანდინავიური მოდელი - სახელმწიფო კეთილდღეობის კონცეფცია, ეკონომიკური განვითარების ისეთი გეგმა, რომელიც მცირე ქვეყნისთვის ხელსაყრელია ისე, რომ ჰყავდეს დაცული და უზრუნველყოფილი მოსახლეობა.
5. ჰოლანდიური მოდელი - სახელმწიფო გეგმა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ადგენს კონკრეტულ მაჩვენებლებს.
6. ხეჯირება - შემხვედრი სავალუტო, კომერციული, საკრედიტო და სხვა მოთხოვნების და ვალდებულებების შექმნა.
7. სიკეთე - თანხა, რომელსაც იხდის სახელმწიფო ვაჭრობის წახალისებისთვის.
8. ვერცხლის ტყვია - ტერმინი აღნიშნავს, რომ არ არსებობს რთული პრობლემის მარტივად მოგვარების ხერხი.

ლიტერატურა

- Aslund, Anders, 2010, "The New Scandinavian Model," Nov. 4, Peterson Institute for International Economics
- Becker, Uwe, 2007, "The Scandinavian Model: Still an Example for Europe?" International Politics and Society, Issue 4, pp. 41-57. http://www.fes.de/ipg/2007/4/05_Becker_US.pdf
- Borg, Anders, 2010, Minister for Finance, "Getting Fiscal Consolidation Right: Lessons from Sweden, London School of Economics (14 January). <http://www.global-economicsymposium.org/solutions/the-global-society/financing-oldage/strategyperspectivefolder/reconstructing-the-swedish-model>
- Bosch, Nicole, Bas van der Klaauw, and Jan van Ours, 2009, "Female Part-time Work in the Netherlands," VoxEU, 5 September.
- Brautigam, Deborah, 1997, "The 'Mauritius Miracle': Democracy, Institutions and Economic Policy," in State, Conflict, and Democracy in Africa, edited by Richard Joseph (Lynne Rienner: Boulder), 137-162.
- Corbo, Vittorio, and Stanley Fischer, 1994, "Lessons from the Chilean Stabilization and Recovery," in The Chilean Economy: Policy Lessons and Challenges, edited by Barry Bosworth, Rudiger Dornbusch and Raúl Labán (Brookings Institution: Washington, DC), pp. 29-67.
- Danniger, Stephan, 2002, "A New Rule: The 'Swiss Debt Brake'," IMF Working Paper 02/18 (International Monetary Fund), January.
- Dougherty, Carter, 2008, "Stopping a Financial Crisis, the Swedish Way," New York Times, Sept. 23.
- Duclaud, Javier, and Gerardo García, 2011, "Mexico 's Oil Price Hedging Program" (International Monetary Fund: Washington DC).
- Edwards, Sebastián, and Alejandra Cox Edwards 1991, Monetarism and liberalization: the Chilean experiment (University of Chicago Press: Chicago).
- Edwards, Sebastián, and Alejandra Cox Edwards, 2000, "Economic reforms and labour markets: policy issues and lessons from Chile," Economic Policy.

Fernald, Lia, Paul Gertler, and Lynnette Neufeld, 2008, "Role of cash in conditional cash transfer programmes for child health, growth, and development: an analysis of Mexico's Oportunidades," *Lancet* Vol 371, March 8, pp. 828-837.

Ffrench-Davis, Ricardo, 2010, *Economic Reforms in Chile: From Dictatorship to Democracy*, (Palgrave MacMillan, NY, 2nd ed.).

Fingleton, Eamonn, 1995, *Blindside: Why Japan Is Still on Track to Overtake the U.S. By the Year 2000* (Houghton Mifflin).

Frankel, Jeffrey, 1993, "The Evolving Japanese Financial System, and the Cost of Capital," in *Restructuring Japan's Financial Markets*, edited by Ingo Walter and Takato Hiraki (Irwin Press and New York University, NY), 235-285.

Frankel, Jeffrey, 2012a, "Mauritius: African Success Story," forthcoming, 2012, *African Successes*, Sebastian Edwards, Simon Johnson, and David Weil, eds. HKS RWP 10-036.

Frankel, Jeffrey, 2012b, "A Solution to Fiscal Procyclicality: The Structural Budget Institutions Pioneered by Chile," forthcoming in *Fiscal Policy and Macroeconomic Performance*, edited by Luis Felipe Céspedes and Jordi Galí, Series on Central Banking, Analysis, and Economic Policies (Central Bank of Chile: Santiago). CBC WP No. 604 or NBER WP No.16945, April 2011.

Frankel, Jeffrey, 2012c, "Natural Resource Curse: A Survey of Causes and Some Remedies," forthcoming, *Commodity Price Volatility and Inclusive Growth in Low Income Countries*, edited by Rabah Arezki and Zhu Min (International Monetary Fund).

Frankel, Jeffrey, Carlos Végh & Guillermo Vuletin, 2011, "On Graduation from Procyclicality," NBER WP 17619, Nov.

Garibaldi, Pietro, and Paolo Mauro, 2000, "Job Creation: Why Some Countries Do Better," *Economic Issues* No. 20 (International Monetary Fund), April.

Goh, M., 2002, "Congestion Management and Electronic Road Pricing in Singapore," *Journal of Transport Geography*, vol.10, no1, March, 29-38
<http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0966692301000369>.

Hanson, Gordon, 2010, "Why Isn't Mexico Rich?" *Journal of Economic Literature* 48, no. 4, 987-1004.

Henríquez, Jesús Orozco, 2006, "The Mexican System of Electoral Conflict Resolution in Comparative Perspective," *Taiwan Journal of Democracy*, Volume 2, No.1: 51-60.

Holmøy, Erling, 2010, "Mineral Rents and Social Policy: The Case of the Norwegian Government Oil Fund," in Katja Hujo and Shea McClanahan, editors, *Financing Social Policy: Mobilizing Resources for Social Development* (UNRISD/Palgrave MacMillan: London).

Johnson, Chalmers, 1982, *MITI and the Japanese Miracle* (Stanford University Press).

Peter Thal Larsen and Chris Giles, "Self-assembly Solution," *Financial Times*, March 18, 2009. <http://www.ft.com/intl/cms/s/0/d8e57fc4-135f-11de-a170-0000779fd2ac.html>.

Kuznets, PW, 1988, "An East Asian Model of Economic Development: Japan, Taiwan, and South Korea," *Economic Development and Cultural Change*. Vol. 36, No. 3, April, Supplement: S11-S43.

Nagel, Jack, 1998, "Social Choice in a Pluralitarian Democracy: The Politics of Market Liberalization in New Zealand," *British Journal of Political Science*, 28: pp 223-267 (Cambridge University Press).

Nelson, Fraser, 2010, "Swedish conservatives bucked the recession by lowering taxes – and won re-election" *The Spectator*, UK, 25th September.

Organization of Economic Cooperation and Development, 2011, *Education at a Glance: Highlights* (OECD: Paris)

Perry, Mark, 2010, "Due North: Canada's Marvelous Mortgage and Banking System," *The American*, February 26 (American Enterprise Institute: Washington DC).

Rawlings, Laura, and Gloria Rubio, 2005, "Evaluating the Impact of Conditional Cash Transfer Programs," *The World Bank Research Observer*, vol. 20, no. 1 (Spring 2005) <http://www.crin.org/docs/Evaluating%20the%20Impact%20of%20Cash%20Transfer%20Programs.pdf>

Santos, Georgina, 2007, "Congestion Pricing: An Idea that Makes Sense," *VoxEU*, 25 July. <http://www.voxeu.org/index.php?q=node/410>

Saavedra, Pablo, 2007, "Flat Income Tax Reforms," Chapter 8, *Fiscal Policy and Economic Growth in Eastern Europe and Central Asia*, edited by Cheryl Gray, Tracey Lane and Aristomene Varoudakis (World Bank).

http://siteresources.worldbank.org/INTECA/Resources/257896-1182288383968/FiscalPolicy&EconomicGrowthinECA_Ch8.pdf

Sumner, Scott, 2010, "What Do We Mean by 'Economic Reform'?" *The Money Illusion*, Sept.27. <http://www.themoneyillusion.com/?p=7112>.

Velasco, Andrés, 1994, "The State and Economic Policy: Chile 1952-92," in *The Chilean Economy: Policy Lessons and Challenges*, edited by Barry Bosworth, Rudiger Dornbusch and Raúl Labán (Brookings Institution: Washington, DC), pp. 379-410.

Vogel, Ezra, 1979, *Japan as Number One: Lessons for America* (Cambridge, Ma.; Harvard University Press).

Williamson, John, 2012, "Is the 'Beijing Consensus' Now Dominant?" *Asia Policy* 13, January: 1-18.